ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18
2025 წლის 28 ივლისი

ქ. ბაღდათი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის №13 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge, 04/06/2025, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.124.605867) შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული საბჭოს დებულების მე-4 მუხლის (საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა):

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბჭო შედგება 17 წევრისაგან. საბჭოს პირად შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბრძანებით.“

ბ) მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრული ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ცვლილების შემთხვევაში.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნოდარ გიორგიძე**